დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი

ელექტრონული ტენდერი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქ. დედოფლისწყაროში არსებული ,,სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი“-ს ადმინისტრაციულ შენობაში ოთახების რეაბილიტაციის სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაცია

<u>დედოფლისწყარო 2016წ.</u>

1. **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1.1. ***<u>იურიდიული პირებისათვის:</u>***

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

1.1.2. ***<u>ფიზიკური პირებისათვის:</u>***

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება.

ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-12 მუხლის მე-15 პუნქტში მითითებულ ვადებში. (თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი თავისუფლდება საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისაგან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-26^2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად).

ტექნიკური დავალება

1. შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა და მოცულობები ატვირთული იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

2. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით, გარდა დამატებითი ღირებულების გადასახადისა. შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინებს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობას, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად (,,დ.ღ.გ.“-ს გადამხდელმა მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის უნდა წარმოადგინის ცნობა, რომ არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად).

3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

5. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, პირველ ეტაპზე შესაძლოა ავანსის სახით გადახდილი იქნას თანხა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 30 %–ის ოდენობით, იმავე თანხაზე წარმოდგენილი საავანსო გადახდის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის საფუძველზე (თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი წარმოადგენს საავანსო თანხის ½ - ს საბანკო გარანტიას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-26[2] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად), რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას არანაკლებ 30 კალენდარული დღით, შემდეგ შესაძლოა განხორციელდეს ერთჯერადი შუალედური ანგარიშსწორება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, საავანსოდ გადახდილი თანხის პროცენტის გამოკლებით, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოთა დასრულების, სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენის, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში. საავანსო ანგარიშსწორების არგამოყენების შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს ორჯერადი შუალედური ანგარიშსწორება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოთა დასრულების, სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენის, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორების ნებისმიერ შემთხვევაში ყოველი გადარიცხვის დროს დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) ანაზღაურება მოხდება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ხოლო მეორე ნახევრის (2,5%) ანაზღაურება მოხდება შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადის (1 (ერთი) წლის) გასვლის შემდეგ.

შენიშვნა: ექსპერტის დასკვნის ღირებულება უნდა ანაზღაურდეს მიმწოდებლის მიერ. ექსპერტის ან საექსპერტო დაწესებულების შერჩევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

6. სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღე (სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენისათვის განკუთვნილი დრო არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად). სამუშაოები დასრულებულად ჩაითვლება სამუშაოთა შესრულების აქტის (ფორმა N2) წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. სამუშაოს შესრულებისას მიმწოდებელი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361 დადგენილებით.

7. შესრულებულ სამუშაოზე საგარანტიო პირობები უნდა მოქმედებდეს სამუშაოს ჩაბარებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, რის შემდეგაც მოხდება დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურება.

8. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა (წარმოდგენილ იქნას ექსპერტის შესაბამისი დასკვნა).

9. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას ტექნიკური დავალების 1-8 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

შენიშვნა: შესავსები ხარჯთაღრიცხვის ფორმები და შესაბამისი ნახაზები ატვირთული იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

<u>პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემებია:</u>

ა) რეკვიზიტები, -- **დანართი №1-ის შესაბამისად.**

ბ) შესასრულებელი სამუშაოების განფასება, სატენდერო დოკუმენტაციაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესავსები ფორმის შესაბამისად.

გ)ინფორმაცია, პრეტენდენტის მიერ **ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული მინიმუმ 100000 (ასიათასი) ლარის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების გამოცდილებით** (წარმოდგენილ იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია -- ხელშეკრულებ(ებ)ა, მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტ(ებ)ი, ფორმა №2.) -- **დანართი №2-ის შესაბამისად.**

დ) სამუშაოების კალენდარული გრაფიკები.

<u>დანართი №1</u>

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი	
3	პრეტენდენტის იურიდიული/ფაქტიური მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	
5	ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	მომსახურე ბანკი	
8	ბანკის კოდი	
9	ანგარიშის ნომერი	

---------- ---------- ბ.ა.

პრეტენდენტი ორგანიზაცია ხელმოწერა

<u>დანართი №2</u>

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ

№	ხელშეკრულების დამკვეთი ორგანიზაცია	შესრულებული სამუშაოს ღირებულება (ლარი)	ხელშეკრულების შესრულების დრო	შენიშვნა
1				დამატებით წარმოდგენილ იქნას (სისტემაში აიტვირთოს) თითოეული ცხრილში შეყვანილი ხელშეკრულება ჩაბარების დოკუმენტაციით (მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტ(ებ)ი), ფორმა №2
2				
3				
4				
5				
....				

---------- ---------- ბ.ა.

პრეტენდენტი ორგანიზაცია ხელმოწერა

ინფორმაცია უნდა მოიცავდეს პრეტენდენტის მიერ **ბოლო სამი წლის განმავლობაში შესრულებული მინიმუმ 100000 (ასიათასი) ლარის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების გამოცდილებას**.

<u>პროექტი</u>

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „__“ „_____“ 2016 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, <u>დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა, ს/კ. 228542413, მისამართი ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №44</u> (შემდგომში „შემსყიდველი“) და

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ,

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 <u>ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქ. დედოფლისწყაროში არსებული „სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრი“-ს ადმინისტრაციულ შენობაში ოთახების რეაბილიტაციის სამუშაოების (CPV-45400000) შესყიდვა გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.</u>

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს ---------- <u>ლარს</u>.

4.2 შესასრულებელი სამუშაოს ერთეულის ღირებულებები მოცემულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის --- ფურცლად.

4.3 სამუშაო შესრულებული იქნება შემდეგ მისამართზე:

<u>ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებულ მისამართებზე.</u>

5. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია <u>შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. იგი პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და ვარგისიანობაზე.</u>

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების არაუმეტეს 30 %-სა გადაურიცხოს შემსრულებელს ავანსის სახით შესაბამის თანხაზე გაცემული საავანსო გადახდის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, (თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი წარმოადგენს საავანსო თანხის ½ - ს საბანკო გარანტიას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს მე-26[2] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად), რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას არანაკლებ 30 კალენდარული დღით, შემდგეგ შესაძლოა განხორციელდეს ერთჯერადი შუალედური ანგარიშსწორება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, საავანსოდ გადახდილი თანხის პროცენტის გამოკლებით, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოთა დასრულების, სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენის, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში. საავანსო ანგარიშსწორების არგამოყენების შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს ორჯერადი შუალედური ანგარიშსწორება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოთა დასრულების, სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენის, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორების ნებისმიერ შემთხვევაში ყოველი გადარიცხვის დროს დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) ანაზღაურება მოხდება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ხოლო მეორე ნახევრის (2,5%) ანაზღაურება მოხდება შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადის (2 (ორი) წლის) გასვლის შემდეგ.

შენიშვნა: ექსპერტის დასკვნის ღირებულება უნდა ანაზღაურდეს მიმწოდებლის მიერ. ექსპერტის ან საექსპერტო დაწესებულების შერჩევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. სამუშაოს მიღება – ჩაბარების წესი

სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება სამუშაოთა დასრულების, სამუშაოთა შესრულების აქტის (ფორმაN2) წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს <u>დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე</u> <u>შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი:</u>

8. შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ <u>შესრულებული სამუშაო</u> <u>არ გამოავლენს ხარვეზებს</u> და <u>შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად</u>, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს <u>გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება სამუშაოს ჩაბარებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.</u>

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება, პირველ ეტაპზე ავანსის სახით (შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების არაუმეტეს 30 %), შესაბამის თანხაზე გაცემული საავანსო გადახდის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე, (თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი წარმოადგენს საავანსო თანხის ½ - ს საბანკო გარანტიას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი"-ს მე-26[2] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად), რომლის მოქმედების ვადა უნდა

აღემატებოდეს სამუშაოს შესრულების ვადას არანაკლებ 30 კალენდარული დღით, შემდგეგ შესაძლოა განხორციელდეს ერთჯერადი შუალედური ანგარიშსწორება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, საავანსოდ გადახდილი თანხის პროცენტის გამოკლებით, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოთა დასრულების, სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენის, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში. საავანსო ანგარიშსწორების არგამოყენების შემთხვევაში შესაძლოა განხორციელდეს ორჯერადი შუალედური ანგარიშსწორება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოთა დასრულების, სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენის, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში. ანგარიშსწორების ნებისმიერ შემთხვევაში ყოველი გადარიცხვის დროს დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოს ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) ანაზღაურება მოხდება საბოლოო ანგარიშსწორებისას, ხოლო მეორე ნახევრის (2,5%) ანაზღაურება მოხდება შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადის (2 (ორი) წლის) გასვლის შემდეგ.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება <u>უნაღდო,</u> გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი სამუშაოს ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის - 398 -ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების <u>10</u> % -ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. სუბ-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების ***<u>1 %</u>*** -ის ოდენობით.

15.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებიმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის ---------- – 201- წლის -------- .**

18.2 მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების ვადაა **2016 წლის ------ – 2016 წლის -------** (სამუშაოები დასრულებულად ჩაითვლება სამუშაოთა შესრულების აქტის (ფორმა N2) წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენისათვის განკუთვნილი დრო არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად).

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად და **ორივეს** აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	**მიმწოდებელი:**
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	----------
უფლებამოსილი წარმომადგენელი	----------
(ბ.ა.)	(ბ.ა.)

შენიშვნა: ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ. №44, მე-3 სართული. საკონტაქტო პირი: ილია ზურიკაშვილი ტელ: 599 85 58 74; ელ. ფოსტა: izurikashvili@yahoo.com